ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ხერგიანის სახელობისა

... ულელტეხილზე გავედით. ჩვენს წინ მთელი თავისი სიმშვენიერით გადაიშალა თოვლით გადაპენტილი მთაგრეხილების უსასრულო ჯაჭვი. მთაგრეხილები ჩვენს გვერდით იწყებოდა და სადღაც შორს, სამხრეთში, დასავლეთში და აღმოსავლეთში იკარგებოდა.

თურქესტანის ქედის მთები — ჯერ ხელუხლები, დაუპყრობელნი. ჩვენ ვუყურებდით ამ უსახელო, ღრუბლებში ჩაფლულ მწვერვალებს და გვემატებოდა ძალა, გვიათკეცდებოდა სურვილი დაგვედგა მათზე ფეხი, დაგვეტოვებინა ამ ქვიან კენწეროებზე წერილები, პირველამსვლელთა უფლებით გვეწოდებინა მათთვის სახელები. და ეს იმიტომ, რომ კლდეებსა და ყინულს, თოვლსა და ქვას სამუდამოდ შეენახათ ადამიანების მიერ მათთვის მინდობილი უკვდავება, წმინდა სახელები...

ნოვოსიბირსკელი ალპინისტების ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ერიკ რაპოპორტი (ხელმძღვანელი), ვლადიმერ და გალინა პროკოპენკოები, გენადი სტარიკოვი და ალექსი შაბატა, თურქესტანის ქედის ერთი ასეთი მწვერვალი აირჩია დასაპყრობად. როცა შორიდან ვუყურებდით ამ მწვერვალს, გვეჩვენებოდა, რომ პიკი კი არა, ქათქათა თოვლიდან ადამიანის ჩაფხუტიანი თავი გვიყურებდა: ვაჟკაცური და მშვიდი, თოვლიანი ქარბუქების მამაცურად დამძლევი.

ჯგუფი პიკის დასაპყრობად გაეშურა. ძნელადსავალ კლდეებს სცვლიდა ყინულოვანი ციცაბოები. ძალიან, ძალიან ძნელი იყო მოძრაობა. ნელა, თანდათანობით გრძელდებოდა სვლა. მოლაშქრენი მეტრს მეტრზე იპყრობდნენ. უცებ შემოღამდა. ორივე გზა — წინსავალი და უკანდასახევი — მოიკეტა. მოლაშქრეებმა ბანაკი დასცეს და ღამე გაათიეს.

დილით კი შეტევა გაგრძელდა. 6 საათი დასჭირდა ჯგუფს, რომ მიეღწია მთის ყველაზე მაღალ წერტილამდე. 5070 მეტრი სიმაღლის პიკი დაპყრობილია — მოლაშქრეებმა ნიშში პირველი წერილი დატოვეს: წერილში, როგორც წესი, შერქმეული სახელიც იყო მონიშნული...

მოლაშქრეები მწვერვალიდან მეორე დღეს დაბრუნდნენ. მე მათ საიერიშო ბანაკში — შუროვსკის მყინვარზე შევხვდი.

— რა დაარქვით? — შევეკითხე ჯგუფის ხელმძღვანელს.

— მიშა ხერგიანის სახელი...

ამ სიტყვებით ყველაფერი იყო ნათქვამი — ვაჟკაცი და უშიშარი ალპინისტის ხსოვნისადმი პატივისცემაც, სიყვარულიც და მისი უკვდავების ჯეროვანი დაფასებაც.

წუთიერმა დუმილმა დაისადგურა და ყველამ ერთად დასავლეთისკენ გავიხედეთ, იქითკენ, სადაც ჩამავალი მზის ოქროსფერ გვირგვინში მწვერვალი წამოჭიმულიყო. იგი გვაგონებდა უშიშარ რაინდსა და მთის არწივს, რომელიც ჩამომხდარიყო ციურ ცივ კლდეზე და სამუდამოდ გარინდულიყო.

ლ. ბელიაევი.

დნეპროპეტროვსკი.

* * *

სურათზე: მიხეილ ხერგიანის სახელობის პიკი (5070 მ), რომელიც ნოვოსიბირსკელმა მთამსვლელებმა პირველად დაიპყრეს 8 აგვისტოს.

ფოტო ავტორისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 182 (3921)

1969 წ. 17 სექტემბერი. ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ახალი ამბები

● **დონის როსტოვი, 15 სექტემბერი.** აქ დამთავრებულ ხელბურთელ ქალთა საკავშირო პირველობაში ჩემპიონის სახელი მოიპოვეს კიევის „სპარტაკის" სპორტსმენებმა. შეჯიბრების ბოლო დღეს სპარტაკელები დაეწივნენ გათამაშების ლიდერს, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონს, მოსკოვის „ლუჩის" გუნდს. დამატებით შეხვედრაში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 28:21. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ „ლუჩის" ხელბურთელები, ბრინჯაოსი — სვერდლოვსკის „კალინინეცის" წარმომადგენლები.

● **მოსკოვი, 15 სექტემბერი.** დედაქალაქიდან ბუდაპეშტს გაფრინდა სსრ კავშირის თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 21-25 სექტემბერს აქ გამართულ მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში. ნაკრების შემადგენლობაში არიან კიეველი ბ. ონიშჩენკო, მოსკოველი ს. შაპარნისი, კიეველი ო. ტოპჩინსკი და მინსკელი ვ. ბელოვი. მათთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებიც — ვ. ჟდანოვი (გომელი), ლ. ივანოვი (ლვოვი), ი. ტაგაზეცკი (ალმა-ათა) და ვ. სელნიხი (ნალჩიკი).

● **ორიოლი, 15 სექტემბერი.** აქ დამთავრებულ ავიამოდელისტების საკავშირო შეჯიბრებაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა კიეველმა ვ. ორეხოვმა. მისმა მოდელმა იფრინა 182,2 კილომეტრის სიჩქარით საათში. ეს 30 კმ-ით უკეთესია ძველ საკავშირო რეკორდზე, რომელიც სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს, ხარკოველ ბ. პაცენკერს ეკუთვნოდა.

● **კიევი, 15 სექტემბერი.** სათვითმფრინავო სპორტში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კემეროველი ვ. მარტემიანოვი მე-16 საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლაურეატი გახდა. მან გაიმარჯვა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების კომპლექსში.

● **პოზნანი, 15 სექტემბერი.** უკრაინელმა მშვილდოსნებმა ვ. სიდორუკმა და ი. ვაინშტეინმა წარმატებით იასპარეზეს აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. სიდორუკი პირველი იყო, ხოლო მისი თანაგუნდელი — მეორე. ქალებში ყველას აჯობა ნ. კოზინამ (სსრ კავშირი).

● **ბუდაპეშტი, 15 სექტემბერი.** წარუმატებლად გამოვიდნენ სსრ კავშირის წყალბურთელები უნგრეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მათ დაიკავეს მეოთხე ადგილი. პირველობდნენ იტალიელი სპორტსმენები. მეორე ადგილზეა გდრ-ის, მესამეზე — უნგრეთის სპორტსმენები.

● **ამსტერდამი, 15 სექტემბერი.** მეხიკოს ჩემპიონი პაკისტანის ბალახის ჰოკეისტთა ნაკრები ამხანაგურ მატჩში აქ შეხვდა ჰოლანდიის გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 1:0. მასპინძლებს შეეძლოთ დამარცხებისაგან თავის დაღწევა, მაგრამ სტუმრების მეკარემ მ. მალიკმა მოიგერია პენალტი.

● **ბრიუსელი, 15 სექტემბერი.** მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის — „ერების მოტოკროსის" ბელგიის ტრასაზე გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რომელთა შორის გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონი ჟ. რობერი და ვერცხლის პრიზიორი ს. გებორსი. სსრ კავშირის გუნდი ამ შეჯიბრებაში არ გამოსულა.

● **ვარშავა, 15 სექტემბერი.** მასპინძელთა ეროვნული ნაკრები ეთამაშა ფინეთის ბალახის ჰოკეისტთა გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 5:1.

ტალის გამარჯვება

მოსკოვი, 16 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა ბრძოლა სსრ კავშირის ვაჟთა 37-ე საჭადრაკო ჩემპიონატში უფერულად დაიწყო. ჯერ პოლუგაევსკისთან წააგო, შემდეგ სამი პარტია ყაიმით დაამთავრა, სმისლოვთან პარტია მძიმე მდგომარეობაში გადადო, ხოლო ი. ზაიცევთან საერთოდ არ უთამაშია.

მაგრამ რიგელი დიდოსტატი ოპტიმისტია, მას ადვილად როდი უტყდება გული. VII ტურში რ. ხოლმოვმაც იგრძნო ეს: თავიდანვე დაიძაბა მათი შეხვედრა. ტალი არ ცხრებოდა, მუდამ წინდახედული ხოლმოვი თავგამოდებით იბრძოდა. მაგრამ „ცენტრალური დამცველი", როგორც მოსკოველ დიდოსტატს უწოდებენ, მაინც შეცდა. ტალმა მყისვე მოიგო პაიკი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ხოლმოვისთვის. მან ვერაფერი გააწყო და მალე პირველ დამარცხებასაც შეურიგდა.

კარგ სპორტულ ფორმაშია ოსტატი ვ. სავონი. ს. ფურმანთან შეხვედრაში მან (შავებით) შეძლო პოზიციის გათანაბრება. მომდევნო გართულებებში სავონმა პაიკი მოიგო და თამაში ენდშპილში გადაიყვანა. უპირატესობა რეალური შეიქმნა და ფურმანიც დანებდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ტ. პეტროსიანი — ი. პლატონოვი, ლ. შტეინი — ა. ლუტიკოვი, ა. გიპსლისი — ვ. სმისლოვი და ო. ავერკინი — ე. გუფელდი.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს 5 ქულა აქვს, ვ. სავონს — 4,5, ლ. პოლუგაევსკის — 4 (2), ვ. სმისლოვს — 4 (1) და რ. ხოლმოვს — 4.

ოლიმპიადა პოლონეთში

ლიუბლინი, 16 სექტემბერი. ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადაზე მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს. სსრ კავშირის გუნდს მეტოქეობენ ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მოჭადრაკეები.

V ტურში საბჭოთა ოსტატები შეხვდნენ გფრ-ის გუნდს. ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ვასნეცკისი, ხოლო ა. კუშნირმა კარნერი.

VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების მეტოქეები იყვნენ პოლონელი ოსტატები. ნ. გაფრინდაშვილმა შეხვედრა ყაიმით დაამთავრა რაძიკოვსკასთან. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნ. ალექსანდრია — ლიტმანოვიჩის პარტია გადაიდო.

6 ტურის შემდეგ ჩეხოსლოვაკიას 11 ქულა აქვს (12-დან), უნგრეთს — (ამდენივე პარტიიდან) 9 ქულა და 1 გადადებული პარტია, სსრ კავშირის გუნდს — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (10 პარტიიდან).

ხუთ სახეობაში

დამთავრდა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის სპარტაკიადა, რომელიც ხუთ სახეობაში მიმდინარეობდა. სტარტზე საფორტეპიანო, ვოკალური, სიმებიანი და სასულე განყოფილებების მოსწავლეები გამოვიდნენ. ფრენბურთში ყველას ვოკალური განყოფილების ნაკრებმა აჯობა, კალათბურთში — საფორტეპიანო განყოფილების მე-2 კურსის II ჯგუფმა. მაგიდის ჩოგბურთელ გოგონებში პირველობა არავის დაუთმო კულტურის პროფკავშირების წლევანდელი საქალაქო სპარტაკიადის ჩემპიონმა ვ. გელაშვილმა. ვაჟებში თავი გამოიჩინა სიმებიანი განყოფილების II კურსის მოსწავლემ ქ. გოგიბერიძემ. სასწავლებლის სპარტაკიადის შარშანდელმა ჩემპიონმა ჭადრაკში, მესამეკურსელმა ლალი სიხარულიძემ (საფორტეპიანო განყოფილება) თავისი ტიტული წლევანდელსაც არავის დაუთმო. ამავე განყოფილების I კურსის მოსწავლე მანანა ნოდია გამარჯვებული გამოვიდა შაშში.

მომავალ მუსიკოსთა ეს ღონისძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

გ. დოლენჯაშვილი,

სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

სესიაზე იმსჯელეს

თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის სესიაზე განიხილეს საკითხი რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ძეზვრიშვილმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ ა. კაპანაძე (სპორტსკოლის დირექტორი), ი. მესტვირიშვილი (თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი), ა. ქემაშვილი (კომკავშირის რაიკომის მდივანი), გ. საამოვი (ძალოსნობის გუნდის მწვრთნელი), ქ. კირვალიძე (კისისხევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი) და სხვ.

სესიამ რაიონში სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის მიიღო სათანადო დადგენილება.

გ. ელიოზიშვილი.

მოფარიკავენი მსოფლიო ჩემპიონატის წინ

მსოფლიოს უძლიერესი მოფარიკავენი თავიანთ მსოფლიო ჩემპიონატს 2-13 ოქტომბერს გაითამაშებენ ჰავანაში. საერთო გუნდური ნადავლის — ეროვნებათა დიდი პრიზის მთავარი პრეტენდენტები ფოლადის მახვილის საბჭოთა ოსტატები არიან. ჯერ კიდევ აღრე გაზაფხულზე ასამდე პრეტენდენტმა დაიწყო ბრძოლა ქვეყნის ნაკრებში მოსახვედრად. მათ განვლეს სხვადასხვა რანგის ტურნირების დახლართული ლაბირინთები, სადაც ბევრი მათგანი „დაიბნა" და დაკარგა კუბაში გამგზავრების შანსი. ახლა, სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც მეშახტეთა ქალაქ კადიევკაში გაიმართა, დადგინდა ნაკრების შემადგენლობა. ვინ დაასახელა სსრ კავშირის ფარიკაობის ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებად?

როგორც ყოველთვის, გუნდი შედგება ჩემპიონატის პროგრამის 4 სახეობის 20 წარმომადგენლისგან. მოგაგონებთ, პროგრამაშია ქალთა და ვაჟთა რაპირა, აგრეთვე, ესპადრონი და დაშნა.

როგორც ცნობილია, მეხიკოს ოლიმპიადაში ყველაზე კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მოფარიკავე ქალები: მათ მოიგეს პირადი და გუნდური ტურნირები. ამიტომ ლოგიკურია ფედერაციის გადაწყვეტილება — გაგზავნოს ჰავანაში ოლიმპიური ჩემპიონები: ე. ნოვიკოვა, გ. გოროხოვა, ს. ჩირკოვა, ტ. სამუსენკო და ა. ზაბელინა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება განა მარტო იმან გამოიწვია, რომ მათ ძველ მიღწევებს უწიეს ანგარიში: წლევანდელ სეზონში ამ მოფარიკავეებმა თავი გამოიჩინეს, როგორც სტაბილურმა ოსტატებმა.

მინსკელმა სტუდენტმა ე. ნოვიკოვამ (იგი 21 წლისაა), რომელმაც შესანიშნავად იასპარეზა მეხიკოში, თავის ოლიმპიურ ტიტულებს მიუმატა კიდევ ერთი საპატიო წოდება — სსრ კავშირის ჩემპიონისა. ამ წარმატებას მან პირველად მიაღწია: იგი ხომ სულ რაღაც 3 წელია მონაწილეობს საკავშირო ჩემპიონატებში! ნოვიკოვამ მტკიცედ დაიმკვიდრა სალიდერო მდგომარეობა, თანაც, ბოლო წლებში ასეთი აშკარა უპირატესობა ჩვენში არც ერთ მოფარიკავე ქალს არ ჰქონია. მასთან მეტოქეობა მართლაც ძალიან ძნელი საქმეა: გუნდში იგი ყველაზე ტანმაღალია, ერთობ მოძრავია და ხშირად კალათბურთელს მოგაგონებთ (შევნიშნავთ: ელენე კალათბურთსაც საუცხოოდ თამაშობს). იგი ცაციაა და ამიტომ მეტად საშიშ მეტოქედ, „უხერხულ" კონკურენტად ითვლება.

დანარჩენი მოფარიკავე ქალების სახელები კარგადაა ცნობილი სპორტულ სამყაროში. გოროხოვა, სამუსენკო და ზაბელინა სხვადასხვა წელს მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ და მხოლოდ ტალინელ სტუდენტს ს. ჩირკოვას ჯერჯერობით აქტივში არა აქვს დიდი პირადი გამარჯვებები. მაგრამ მას ახასიათებს მეტად თავისებური ხელწერა, რაც ხშირად ჩიხში აყენებს ტალინელის მეტოქეებს. გარდა ამისა, სვეტლანა სწორედ გუნდურ შეხვედრებში გამოირჩევა დიდი მებრძოლური თვისებებით. ეს კი მეტად ძვირად ფასობს.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ჰავანაში გამგზავრების კიდევ ერთ პრეტენდენტზე. ეს გახლავთ ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი, 19 წლის მოსკოველი ტ. კონურკინა. მისმა ოსტატობამ მოკლე ხანში შესამჩნევად იმატა, ქვეყნის ჩემპიონატში მან შეუპოვარი მეტოქეობა გაუწია უფროს ამხანაგებს და VII ადგილი დაიკავა. და თუ ზაბელინა, რომელიც ამ ზაფხულს ხშირად ავადმყოფობდა, სექტემბრის ბოლოსთვის სპორტულ ფორმას ვერ აღიდგენს, მისი ადგილი გუნდში შესაძლოა კონურკინამ დაიჭიროს.

შარშანდელთან შედარებით არ შეცვლილა ესპადრონისტთა ხუთეული, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედალი მოიხვეჭა. აი, ეს ხუთეული — გამოცდილებისა და ახალგაზრდობის კლასიკური შენადნობი: ნაკრების ძველმოსახლენი მ. რაკიტა და უ. მავლიხანოვი, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე უკვე 10 წელია გამოდიან, საშუალო თაობის წარმომადგენელი, ტოკიოს ოქროს მედლის მფლობელი უ. ვინოკუროვი, აგრეთვე, ვ. ნაზლიმოვი და ვ. სიდნიაკი — ამასწინანდელი ახალბედები, რომლებმაც უკვე დაიმსახურეს მრისხანე მებრძოლთა რეპუტაცია. ესაა ძალიან მეგობრული ხუთეული, რაც კიდევ უფრო შეუვალს ხდის ესპადრონისტთა გუნდს. საინტერესოა, რომ წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ამ ხუთეულისთვის ნაკლებად სასიამოვნო მღელვარებით დაიწყო: თვითმფრინავმა ერთი დღით დააგვიანა და ეს ხუთი კაცი აეროდრომიდან სირბილით გაემართა დარბაზისკენ. და მაინც, ყველაფერი კარგად დამთავრდა, რაკიტა ჩემპიონიც კი გახდა. დამტკიცდა ისიც, რომ ოლიმპიელთა კლასი გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენებისა.

საბჭოთა არმიის ოფიცერმა 32 წლის მოსკოველმა მ. რაკიტამ შემთხვევით როდი მოიხვეჭა უძლიერესი ესპადრონისტის წოდება: ახლა იგი უდავოდ საუკეთესოა ჩვენში, ბოლო წლების მსოფლიო ჩემპიონატებში ყველაზე სტაბილურად ფარიკაობს (1967 წელს მსოფლიო ჩემპიონიც იყო). თავის ყველაზე მთავარ იარაღად რაკიტა თვლის ტაქტიკას, ესპადრონი კი მისთვის მხოლოდ ხელსაწყოა გონებამახვილურ ჩანაფიქრთა შესასრულებლად. 32 წელი ფარიკაობაში გაფურჩქვნის ასაკია. რაკიტა გუნდში ყველაზე უფროსია და გასაგებია, თუ რაოდენ პერსპექტიულია ეს ნაკრები.

ცოტა ცვლილებაა წლეულს რაპირისტთა წრეშიც. სამწვრთნელო მუშაობაზე გადავიდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გუნდურ ტურნირებში ი. სისიკინი. მისი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა მოსკოველმა ლ. რომანოვმა, რომელიც უკვე მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებში. განიმტკიცა თავისი მდგომარეობა ნაკრებში ლვოველმა ვ. სტანკოვიჩმა — „წელიწადის სიურპრიზის" ავტორმა: ასე შეაფასეს მისი გამარჯვება ქვეყნის 1968 წლის ჩემპიონატში. მართალია, ამჯერად მან ვერ შეძლო წარმატების გამეორება, მაგრამ ადრე დაგროვილმა ქულებმა თავისი გაიტანა: იგი ნაკრებში მოხვდა.

წლევანდელი ჩემპიონი ზევადიანი სამხედრო სამსახურის სერჟანტი, გორკელი გ. სვეშნიკოვი, რომელიც უწინაც რამდენიმეჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი. იგი რაკიტას ხნისაა, მაგრამ რაპირისტის კარიერა შედარებით ხანმოკლე აქვს, მაგრამ იგი ვეტერანად ითვლება. მას თავადაც არაერთხელ უთქვამს: დროა გზა ახალგაზრდებს დავუთმოო. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ელევა საყვარელ საქმეს მსოფლიო ჩემპიონატების ათეული ოქროს მედლების მფლობელი. თანაც სვეშნიკოვი ისე არ აპირებს წასვლას, თავის ამხანაგებთან ერთად გუნდს მსოფლიოში უძლიერესის სახელი რომ არ დაუბრუნოს (ეს წოდება სსრ კავშირის ნაკრებმა 8 წელიწადს ზედიზედ მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ დაკარგა). ამ სპორტსმენს აქვს იშვიათი თვისება: იგი ძალიან სწრაფად შედის ფორმაში, რასაც მისთვის კრიტიკულ მომენტებში კეთილი სამსახური გაუწევია.

ამბობენ, სვეშნიკოვის ნერვებით ბაგირის მოქსოვა შეიძლებაო. შეიძლება ეს სწორიცაა, მაგრამ უკანასკნელი ჩემპიონატი გერმანმა ძლივძლივობით, როგორც თავად თქვა, „ნერვების უდიდესი დაძაბვის" ფასად მოიგო. სხვათა შორის, ეს ფაქტი სვეშნიკოვის „სიბერეს" კი არ ადასტურებს, მზარდ ოსტატობასა და დიდ მეტოქეობას უძლიერესთა რიგებში. სწორედ ამიტომაა, რომ რაპირისტების კლასი იზრდება და ახლა საბჭოთა ნაკრებს ჰავანაში წარმატების შანსიც მეტი აქვს, ვიდრე შარშან. დანარჩენი ადგილები გუნდში უჭირავთ გამოცდილ მებრძოლებს — სარატოველ ინჟინერს ი. შაროვს და მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, კიეველ ბ. პუტიატინს.

ყველაზე მეტი საზრუნავი აქვთ დაშნით მოფარიკავეთა გუნდის მწვრთნელებს. ხუთ ვაკანტურ ადგილზე კადიევკის ტურნირის შემდეგაც კი მებრძოლთა თითქმის ათეული აცხადებს პრეტენზიას. მართალია, ზოგიერთ მათგანს, თუ ასე შეიძლება ითქვას, თვითმფრინავის ბილეთი უკვე ჯიბეში აქვს. უპირველესად ეს ეხება ბოლო წლების ორ საუკეთესო „მედაშნეს" — მინსკელ ა. ნიკანჩიკოვს და კიეველ გ. კრისს. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, 28 წლის მინსკელი ასპირანტი ჩვენს ქვეყანაში უძლიერესი მხოლოდ წლეულს გახდა, თუმცა, მანამდე ორჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი ნიკანჩიკოვი საბჭოთა მოფარიკავეთა შორის ყველაზე ტანმაღალია, თანაც ყველაზე დინჯი, მშვიდი და უწყინარი გახლავთ. შეიძლება სწორედ ეს სიდარბაისლე თამაშობს დიდ როლს მის წარმატებებში. ძნელია დაასახელო წლევანდელი სეზონის სხვა ასეთი სტაბილური მებრძოლი: ნიკანჩიკოვმა წლეულს მოიგო თითქმის ყველა საერთაშორისო ტურნირი და უკანასკნელი თვეების საკავშირო ტურნირები.

დანარჩენ ადგილებზე გუნდში პრეტენზიას აცხადებენ ტალინელები გ. ზაჟიცკი და ი. ვეანესი. თუ ისინი ჩემპიონატში საასპარეზოდ გაემგზავრებიან, ეს იქნება მათი პირველი საერთაშორისო ნათლობა.

დანარჩენ პრეტენდენტთა სახელები ფართოდაა ცნობილი: ესენი არიან მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის მონაწილენი ი. ვიტებსკი, ი. სმოლიაკოვი და ვ. მოძალევსკი. დაშნით მოფარიკავეთა საბჭოთა გუნდს ჯერ კიდევ არ გააჩნია იმდენი გამარჯვება, რამდენიც, მაგალითად, რაპირისტთა ნაკრებს. „მედაშნეთა" ხეირიან წლებს სამწუხარო ჩავარდნები ცვლის ხოლმე. დაშნით მოფარიკავეებმა მეხიკოდან ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს. წლეულს მათ ცოტა გამარჯვება როდი მოიპოვეს საერთაშორისო ტურნირებში. ასე რომ, ჩანს მათ აქვთ შესაძლებლობა ისევე დამაჯერებლად დაამთავრონ წლევანდელი სეზონი, როგორც დაიწყეს.

ი. ობრაზცოვი.

* * *

სურათზე: თ. სამუსენკო.

ვაჟები — კი, ქალები — არა!

ახლახან ყაზანში დამთავრდა მძლეოსანთა მეოთხედფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე (ეს პრიზი, როგორც ცნობილია, გაზეთ „იზვესტიის" რედაქციამ დააწესა). აქ ასპარეზობდნენ თბილისის, ყაზანის, გორკის, ორჯონიკიძის, პენზის ვაჟთა და გორკის, ზაპოროჟიეს, თბილისის, ტომსკის, კურსკისა და ნალჩიკის ქალთა გუნდები. წინასწარვე ვიტყვით, რომ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა შეჯიბრებაში ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები.

ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. ჯერ ვაჟებზე ვილაპარაკოთ: 100 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ყაზანელი სპორტის ოსტატი, 32 წლის ე. აუხადეევი — 11,0. თბილისელი გ. სტეპანოვი II ადგილზე გავიდა — 11,1. 400 მეტრზე რბენაში პირველობა არავის დაუთმო 19 წლის ორჯონიკიძელმა ს. კოჩერმა — 49,5. მასზე ერთი წლით უფროსია თბილისელი შ. ჯაბიშვილი, რომელმაც ბოლო, V ადგილი დაიკავა — 54,2.

საინტერესო „დუელი" გაიმართა 1500 მეტრზე რბენაში გორკელ ვ. პარამონოვსა და თბილისელ სპორტის ოსტატ გ. სტარიჩკოვს შორის. ფინიშთან პირველი იყო პარამონოვი — 3.55,4. სტარიჩკოვის შედეგია 3.56,4.

5 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა პენზელმა ვ. სილაევმა — 14.56,4. თბილისელი ნ. დავიდენკო მესამე იყო — 14.58,6. ორი თანატოლი სპორტის ოსტატი — 23 წლის მძლეოსნები — გორკელი ვ. ომეტოვი და თბილისელი ი. კოზელსკი თავდაუზოგავად იბრძოდნენ 400 მეტრზე თარჯრბენში. გაიმარჯვა ომეტოვმა — 53,2. კოზელსკის დროა 53,8.

4×100 მეტრზე ესტაფეტაში ყველას აჯობეს თბილისელებმა თ. მდინარაძემ, გ. სტეპანოვმა, ი. კოზელსკიმ და ი. დიაჩკოვმა — 42,3 წამი.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის თანამშრომელმა, 30 წლის ი. დელა-როსამ ყველაზე სწრაფად გაიარა 20-კილომეტრიანი დისტანცია — 1:36.26,4.

ერთი სმ წააგო თბილისელმა ვ. ჩუკანოვმა გორკელ გ. კოსტარნისთან სიგრძეზე ხტომაში. გამარჯვებულის შედეგია 713 სმ.

ბადროს ტყორცნაში უძლიერესი იყო სსრ კავშირის რეკორდსმენი გ. გუდაშვილი — 59,37 მ. 110 მეტრზე თარჯრბენშიც პირველობა თბილისელს ერგო. ეს იყო ი. დიაჩკოვი — 14,5. ერთი მეათედი წამი წააგო თბილისელმა თ. მდინარაძემ ყაზანელ ს. შელეხოვთან 200 მეტრზე რბენაში. მდინარაძის შედეგია 22,3.

800 მეტრზე რბენა მოიგო ყაზანელმა ი. ხუდიაკოვმა — 1.53,3. თბილისელი ი. ზეინალ-ოღლი II ადგილზე გავიდა — 1.55,5.

უროს ტყორცნაში იმარჯვა გორკელმა ი. ვასილიევმა — 65,42 მ. ა. ბაგაური მესამე იყო (54,50). ჭოკით მხტომელთა შორის პირველობა მოიპოვა გორკელმა ი. პუდოვკინმა — 360 სმ. თბილისელმა მ. თათევოსიანმა ერთბაშად 360 სანტიმეტრის გადალახვა მოინდომა და... ჩაფლავდა.

4×400 მეტრზე ესტაფეტა მოიგეს ყაზანელებმა — 3.18,8. თბილისის გუნდი (დიაჩკოვი, ზეინალ-ოღლი, კოზელსკი და მდინარაძე) II ადგილზე გავიდა — 3.19,9.

სიმაღლეზე ხტომაში 21 წლის თბილისელმა ნ. საგანელიძემ პირადი რეკორდით (210) აჯობა ყველას. მას ყაზანის მეოთხედფინალში საუკეთესო შედეგისთვის პრიზი გადაეცა.

300 მეტრზე წინაღობებით რბენა მოიგო გორკელმა ვ. ოტლეიკინმა — 9.29,4. თბილისელი ი. ცანავა ფინიშთან მეორე იყო — 9.30,6. ბირთვის კვრაში ყველას აჯობა საქართველოს რეკორდსმენმა მ. ოყროშიძემ — 17,64.

ჩვენ შუბის ტყორცნაშიც გამარჯვების იმედი გვქონდა, მაგრამ კ. გორძემაშვილმა ყაზანში გამგზავრებაზე უარი თქვა და... გამარჯვება გორკელ ნ. შაგალოვს დარჩა — 71,35 მ. თბილისელმა ლ. აროშიძემ შედარებით დაბალი შედეგით (67,32) II ადგილი დაიკავა. გორძემაშვილის თვითნებურ საქციელს უახლოეს ხანში განიხილავს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია.

სამხტომში უძლიერესი იყო თბილისელი ლ. დარახველიძე (15,04 მ), ხოლო მეორე თბილისელმა ბ. კოჩეგუროვმა გაიმარჯვა 10 კილომეტრზე რბენაში (32.08,4).

ამგვარად, თბილისის ვაჟთა გუნდმა ნახევარფინალის (ბრიანსკი, 28-29 სექტემბერი) საგზური მიიღო. ფინალის 2 საგზურისთვის თბილისელები იბრძოლებენ კიეველებთან, ლენინგრადელებთან (III გუნდი), ყაზანელებთან, ულიანოვსკელებთან და სტავროპოლელებთან...

თბილისის ქალთა გუნდი ნახევარფინალში ვერ მოხვდა. ჩვენი გუნდიდან გამარჯვებას მხოლოდ ლ. ტულუშმა და ესტაფეტის მონაწილეებმა მიაღწიეს. ტულუშმა ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში (47,13 მ), 4×400 მეტრზე ესტაფეტაში კი იმარჯვეს ლ. იევლევამ, გ. კონონენკომ, თ. ეპიფანოვამ და ნ. ლომიძემ — 50,3 წამი.

ვ. ზუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ყაზანი.

* * *

სურათზე: 4×400 მეტრზე ესტაფეტის მომენტი. თ. მდინარაძე ამანათს გადასცემს ი. კოზელსკის.

ფოტო ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ჩემპიონი რეგბიში

ბათუმში ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს პირველობა რეგბიში. ჩემპიონატში გამოდიოდა თბილისის ოთხი გუნდი — სახელმწიფო უნივერსიტეტი, „სპარტაკი", „განთიადი" და პოლიტექნიკური ინსტიტუტი, აგრეთვე, ქუთაისის „დინამო" და ბათუმის ნაკრები.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ქუთაისის „დინამოს" ახალგაზრდულმა კოლექტივმა (მწვრთნელი შ. ქურციკიძე), რომელმაც დაამარცხა თბილისის „სპარტაკი" (3:0), „განთიადი" (12:8), ბათუმი (86:8), ფრედ დაამთავრა შეხვედრები თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (3:3), სახელმწიფო უნივერსიტეტთან (6:6) და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს, რომელიც გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზეა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდი.

შ. ნიჟარაძე.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „დინამოს" გუნდი.

ფოტო დ. ბაბუნაშვილისა.

სჭირდება თუ არა ადამიანს ჭადრაკი?

1. რატომ არის ჭადრაკი ესოდენ პოპულარული და მიმზიდველი?

2. როგორი საზოგადოებრივი და ინდივიდუალური სარგებლობა მოაქვს ჭადრაკს ჩვენს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში?

ამ კითხვებით მიმართა სტუდენტთა XVI საჭადრაკო ოლიმპიადის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა კ. მეჩერმა ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსსა და კიბერნეტიკოსს, პროფესორ დოქტორ **გეორგ კლაუსს** (გდრ).

— ბ-ნო პროფესორო, ვიდრე ჭადრაკის სარგებლობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, საჭიროა განისაზღვროს მისი ადგილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ამისთვის აუცილებელია აიხსნას: რა არის საერთოდ ჭადრაკი?

პროფ. კლაუსი: პასუხმა — „ჭადრაკი სპორტია" — არ შეიძლება დაგვაკმაყოფილოს, ვინაიდან იგი ასახავს ჭადრაკის თამაშის მხოლოდ ერთ მხარეს, რაც სპორტის სხვა სახეობებისთვისაცაა დამახასიათებელი. მხედველობაში მაქვს შეჯიბრების მომენტი, ტურნირში მონაწილეობა, ნებისყოფის დაძაბვა და ა. შ. ჭადრაკის თამაშს, როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობას, თავისი დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებები გააჩნია. მხოლოდ ამ თავისებურებების გახსნით შევძლებთ სწორად შევაფასოთ ჭადრაკის სარგებლობა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ჭადრაკის შექმნის ლეგენდა თითქმის ყველა მოჭადრაკემ იცის. გახსოვთ ბრძენი ბრამინის ისტორია, რომელმაც მეომარ მეფეს ჭადრაკი შესთავაზა, რათა იგი გამანადგურებელი ომებისთვის აეცილებინა? ვიცით, რომ ომები წარმოიშობა არა მონარქების ნებასურვილით, ისინი საზოგადოების განვითარებით არიან გაპირობებული. მიუხედავად ამისა, ბრამინზე ლეგენდას, მართალია იგი თუ არა, ღრმა აზრი აქვს: ჭადრაკი — ეს ბრძოლის ასახვაა. ბრძოლა კი მჭიდროდაა დაკავშირებული თვით ადამიანის არსთან. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჭადრაკი მხოლოდ სამხედრო შეტაკების ამსახველია. ჭადრაკი — ეს არის საერთოდ ბრძოლის აბსტრაქციული ასახვა, და მაშასადამე, დიალექტიკურ წინააღმდეგობათა ასახვა. სვლა და საპასუხო სვლა საჭადრაკო პარტიაში აღნიშნავენ თეზისს და ანტითეზისს. შემდეგ მოდის სინთეზი. ამრიგად, ჭადრაკში მუდამ წარმოიშობიან წინააღმდეგობანი, მოგვარდებიან და კვლავ წარმოიშობიან. ლასკერი თავის წიგნში „საღი გონება ჭადრაკში" წერდა იმაზე, რომ პატარა უპირატესობათა სისტემატურ დაგროვებას ადრე თუ გვიან თვისობრივი ცვლილებები მოჰყვება. ეს ცვლილებები შეიძლება გამოიხატოს მასალის მოგებაში ან გადამწყვეტი კომბინაციისთვის ხელსაყრელი სიტუაციის შექმნაში.

ჟამთამსვლელობაში ჩვენ ბევრჯერ ვყოფილვართ კარტისა და ბევრი სხვა სამაგიდო თამაშის დაბადებისა და უკვალოდ გაქრობის მოწმენი. ის ამბავი, რომ ჭადრაკი ორიათას ხუთასი წელი ცოცხლობს, შემთხვევითობით როდი აიხსნება. ჭადრაკი არის რაღაც ისეთი, რაც მუდამ იზიდავს ახალ თაობებს. ჩემი აზრით, არსი შემდეგში მდგომარეობს: — ჭადრაკი, როგორც დიალექტიკა, სიცოცხლისუნარიანია. ადამიანი თავის გზაზე შეხვდა თამაშს, რომლის წესებსა და აგებულებაში ვლინდება დიალექტიკის ძირითადი კანონები, გამოსახულნი აბსტრაქციულ, მაგრამ ამავე დროს კრისტალურად ნათელ ფორმაში. ჭადრაკში ადამიანი თითქოს თავის არსს ამტკიცებს.

— ჭადრაკის თამაშის ევოლუციაში ხომ არ ვლინდება ისტორიული კანონზომიერებანი?

პროფ. კლაუსი: შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჭადრაკის აღნაგობა — ეს არის ნებისმიერი და ფორმალური პირობითობა. არ ვიზიარებ ამ შეხედულებას. თამაშის თანამედროვე წესები ყალიბდებოდნენ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე. ასე, შუა საუკუნეებში ფიგურების მოძრაობა დაფაზე შეზღუდული იყო. მაგალითად, ლაზიერი სუსტი ფიგურა გახლდათ. ჭადრაკის მებრძოლი ხასიათი ბევრად უფრო გვიან გამოვლინდა. შემთხვევითი როდია, რომ ადრეული კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა საგრძნობლად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის აქტივობა, ჭადრაკი გამოვიდა ემპირიული მდგომარეობიდან და მწყობრი თეორიის ფორმა მიიღო. XVIII საუკუნის რევოლუციისწინა საფრანგეთში კაფე „რეჟანსში" დაობდნენ არა მარტო რუსო და დიდრო, არამედ ფილიდორიც, რომელმაც იქ თავისი პირველი პარტიები ითამაშა. ფილიდორმა დაწერა პირველი დიდი თეორიული შრომა ჭადრაკში. ამ შრომაში მან აამაღლა პაიკის მნიშვნელობა. ჭადრაკმა თითქოს ასახა კოლექტიური ბრძოლა, რომელშიც გადამწყვეტი როლი ხალხს მიეკუთვნება.

— ჭადრაკმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიხვეჭა მუშათა კლასისთვის. თვით ერნსტ ტელმანი წერდა, რომ ნებისყოფა და დამოუკიდებელი აზროვნება, რომლებიც ჭადრაკის სწავლის დროს ვითარდება, შეიძლება გამოადგეს მუშებს ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. რა ფასი აქვს ჭადრაკს მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, მუშებისა და მეცნიერთათვის ახლა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში?

პროფ. კლაუსი: სოციალიზმის დროს და ავტომატიკის საუკუნეში ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან და საკუთარ თავთან საზოგადოების განვითარების უმთავრეს ელემენტად რჩება. ან, ჰერაკლიტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავა ყოველი არსებითის საფუძველია". გარესამყაროსთან წინააღმდეგობა სწავლის დროს, მეცნიერული კვლევისას ან დაზგასთან ადამიანისგან მოითხოვს შეუპოვრობას, დაკვირვებას, შინაგან დისციპლინას, სითამამესა და რისკს, კრიტიკასა და თვითკრიტიკას, შესაძლო წარუმატებლობათა და სასოწარკვეთილებათა გადატანის უნარს და მაინც ბრძოლას წარმატებისთვის. ეს ძვირფასი თვისებები, რომელნიც ადამიანის პიროვნებას აყალიბებენ, კაცს აკვანში არ ეძლევა. ისინი გონების განვითარების დროს ჩნდებიან. ჭადრაკის თამაში, რომელიც, როგორც ვთქვით, არის ყოველგვარი ბრძოლის აბსტრაქციული ასახვა, დიდად უწყობს ხელს ამ ძვირფასი თვისებების ფორმირებას. მოჭადრაკე, რომელსაც არ შესწევს უნარი თამაშის დროს კრიტიკულად შეაფასოს თავისი პოზიცია, აუცილებლად დამარცხდება. ყოველი წაგება — ეს ჩვენი საჭადრაკო აზრების, ჩვენი თეორიული და პრაქტიკული მომზადების კრიტიკაა. ჭადრაკი ნებისყოფის აღზრდის შესანიშნავი სკოლაა, იგი მოითხოვს წონასწორობასა და სიმტკიცეს საკუთარი თავის მიმართ. ჭადრაკი მოწინააღმდეგის ნებისყოფის დაძლევას მოითხოვს.

ჭადრაკის თამაშის ერთ-ერთი უძვირფასესი აღმზრდელობითი ასპექტი მის არსშია: ჭადრაკი თანმიმდევრული ლოგიკური აზროვნების შესანიშნავი სკოლაა. ჭადრაკის ეს მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს ჩვენს დროში, როცა ფიზიკური მომენტი შრომაში თანდათანობით უთმობს ადგილს სულიერს. საჭადრაკო ფიგურების ღირებულება იმდენად ზუსტადაა განაწილებული, რომ შესაძლოა მისი მათემატიკური ფორმულირებაც. ეს გარემოება უკარნახებს მოჭადრაკეს მოცემული საწყისი მდგომარეობიდან ილტვოდეს გარკვეული შედეგებისადმი ლოგიკური დასკვნების გზით. ჩემი აზრით, ზუსტი ლოგიკური აზროვნების ვარჯიში უფრო ადვილია ჭადრაკის თამაშით (მხედველობაში მაქვს სერიოზული პარტია), ვიდრე ამ მიზნისთვის ლოგიკის სახელმძღვანელოს გამოყენებით. ცნობილია, რომ ადამიანი უფრო ხალისით და პროდუქციულად სწავლობს თამაშის პროცესში, ვიდრე სწავლების რომელიმე სხვა მეთოდის დროს.

აქ მსურს გავამახვილო ყურადღება ჭადრაკის, როგორც მეცნიერული სიზუსტისა და ანალიტიკური ჩვევების აღზრდის საშუალების განსაკუთრებულ პოტენციურ შესაძლებლობებზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჩვენს დროში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ადამიანისთვის, რომელსაც უნარი აქვს მოკლე დროში ანალიტიკურად გადაამუშაოს ფაქტებისა და ინფორმაციის დიდი ნაკადი. თანმიმდევრულად ყოველი ნათამაშევი საჭადრაკო პარტია არის სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთობლიობის ნიმუში. პარტიის გარკვეულ სტადიაში მოჭადრაკე პოზიციის ანალიზით ადგენს სტრატეგიულ გეგმას, რომელსაც შემდგომ აუცილებელი ტაქტიკური ხერხებით ახორციელებს. რამდენადაც ადამიანს მეტი ანალიტიკური უნარი აქვს, მით უფრო ქმედითი იქნება მისი გეგმა და შედეგსაც უფრო საგრძნობს მიიღებს.

— მუშაობაში, სწავლაში და პირად ცხოვრებაში ადამიანის წინაშე მუდამაა გადასაწყვეტი სხვადასხვა სახის ამოცანები — ყველაზე მარტივიდან ყველაზე რთულამდე. შეუძლია თუ არა ჭადრაკს, მისი აბსტრაქციულობის მიუხედავად, დაეხმაროს ადამიანს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაში?

პროფ. კლაუსი: ცხადია, თუმცა ჭადრაკი სტრატეგიულ თამაშებს მიეკუთვნება, მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს ადამიანთა საზოგადოების სტრატეგიულ თამაშებთან (მაგალითად, დისკუსიებთან, მოლაპარაკებებთან, სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტილებებთან და ა. შ.). ჭადრაკი, როგორც ვიცით, ასახავს ბრძოლას ორი არმიის ჯარის სხვადასხვა ნაწილებისას (ეტლების, კუთა, მხედრების და სხვ.). ამრიგად, ჭადრაკი თითქოს ნამდვილი საზოგადოებრივი კონფლიქტების მოდელია ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მასში მოცემულია ადამიანთა შორის კოლიზიის ასპექტები მოდელის ფორმაში.

კითხვას, თუ სახელდობრ რომელი კოლიზიების მოდელირება ხდება ჭადრაკში, პასუხი არა აქვს. რასაკვირველია, საჭადრაკო დაფაზე მომხდარი კონფლიქტები თავისი შინაარსით განსხვავდებიან ცხოვრებისეულისგან. მაგრამ მნიშვნელოვანია სხვა გარემოება: ვიდრე მოჭადრაკე აირჩევს სვლას დიდი არჩევანიდან, მან მეტოქის ყველა საპასუხო სვლა უნდა განიხილოს. სწორედ აქ არის ჭადრაკის შეხების წერტილი ცხოვრებასთან. ადამიანი, რომელიც ჭადრაკს თამაშობს, შეიძლება შევადაროთ უმაღლეს კიბერნეტიკულ სისტემას. „მოსწავლე კიბერნეტიკულ სისტემას" კონკრეტულ სიტუაციაში შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან წინასწარ გაითამაშა ვარიანტები მოდელის მიხედვით. ასეთი თამაში გართობა როდია, არამედ აუცილებლობაა „მოსწავლე კიბერნეტიკული სისტემების" ევოლუციისთვის.

ამრიგად, ჭადრაკის სარგებლობა კიდევ ის გახლავთ, რომ იგი ყველა არსებული შესაძლებლობის გადასინჯვის გზით გვასწავლის გადაწყვეტილების მიღებას.

— ხომ არ შელახავს ადამიანის ფანტაზიას მიხეილ ბოტვინიკის საჭადრაკო ავტომატი, რომელიც დამთავრების პროცესშია?

პროფ. კლაუსი: ადამიანის ფანტაზია არ არის მუდმივი სიდიდე. ფანტაზიის ზღვარი დამოკიდებულია ადამიანის საქმიანობის ხასიათზე, იგი შეიძლება გადიდდეს და შემცირდეს. ჭადრაკის თამაში აღაგზნებს ფანტაზიას და ავითარებს მას. ეს ჭადრაკის კიდევ ერთი მიღწევაა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. ჭადრაკის თეორიის ღრმად დამუშავებისა და ბევრი საჭადრაკო პრობლემის ალგორითმირების მიუხედავად, შემოქმედებითი ფანტაზია ჭადრაკში უწინდებურად გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჩვენი დრო მოითხოვს ადამიანებისგან, რომლებიც სამეცნიერო ცენტრებში მუშაობენ ან მაღალპროდუქციულ მანქანებსა და მთელ ქარხნებს ემსახურებიან, შემოქმედებით ფანტაზიას ახლის ძიებისთვის. ყველაფერი, რაც ალგორითმს მოერგება, უნდა გადავცეთ მანქანას, რათა ადამიანს შეეძლოს თავისი უნარი შემოქმედებითი პრობლემების გადაწყვეტაზე გაამახვილოს. უდავოა: ადამიანის ფანტაზიის უმაღლეს მიღწევებს მიეკუთვნება ანდერსენის, მორფის, ლასკერის, ალიოხინისა და ბოტვინიკის კომბინაციები.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ სკოლებში და უნივერსიტეტებში ჭადრაკს, მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობის გამო, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს?

პროფ. კლაუსი: უდავოდ. აუცილებელია ჩვენს ახალგაზრდა თაობაში აღვზარდოთ საუკეთესო თვისებები, რომელნიც დაეხმარება მას წარმატებით გადაჭრას სულ უფრო რთული ამოცანები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში. თუ რა შეუძლია მოგვცეს ჭადრაკმა ამ მხრივ, უკვე აღვნიშნეთ.

დღეს რომელიმე მასწავლებელს მის კლასში, თუნდაც კვირაში ერთი საათს, ჭადრაკის სწავლებას თუ შესთავაზებთ, იგი გადმოგიღებთ საათობრივ სასწავლო გეგმას და დაგიმტკიცებთ მისი შემჭიდროების შეუძლებლობას. ასეთი მასწავლებლის შეცდომა შემდეგშია: დიდძალი ინფორმაციის ნაკადი ჩვენს საუკუნეში, უბრალოდ, შეუძლებელია ყველა მეცნიერების ამომწურავი მიმოხილვის მოცემა. ჩვენ სულ უფრო უნდა ვეცადოთ ფაქტების დაზეპირება შევცვალოთ ფაქტების წარმოშობისა და განმარტების მეთოდების სწავლით. მე, მაგალითად, დიდი მომხრე ვარ უფროს კლასებში კიბერნეტიკის სწავლება დავიწყოთ. ჭადრაკი აგრეთვე დაეხმარება მოსწავლეებს აზროვნების ზუსტი მეთოდების დამუშავებაში.

განსაკუთრებით სასარგებლოა ჭადრაკის სწავლების დაწყება პატარა კლასებიდან. ჭადრაკის დაფასთან ბავშვები თავისი განვითარების დაწყებით სტადიაში, რა თქმა უნდა, შეუცნობლად დიალექტიკური, სტრატეგიული და ტაქტიკური აზროვნების მეთოდებს მიეჩვევიან. ამასთან, როგორც ლენინგრადის ერთ-ერთი სკოლის გამოცდილებამ გვიჩვენა, ჭადრაკი ზრდის საერთო მოსწრებას. ბავშვებს, რომელნიც სისტემატურად თამაშობენ ჭადრაკს, სხვა საგნებში უფრო მაღალი ნიშნები აქვთ.

— რას იტყვით ჭადრაკის ერთ შესანიშნავ ღირსებაზე — მოუტანოს ადამიანებს სიხარული და კმაყოფილება?

პროფ. კლაუსი: ადამიანს უყვარს თავგადასავალი, ეს მისი ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა. გამარჯვება, რომელიც მიიღწევა მძიმე განცდების შემდეგ, ადამიანს სიხარულს ანიჭებს. ჭადრაკში გამარჯვებას შეუდარებელი კმაყოფილების გრძნობა მოაქვს. ამრიგად, ჭადრაკის თამაში ხელს უწყობს სულიერ სიჯანსაღეს. ოსტატი ცოტა მოჭადრაკე ხდება, მაგრამ ყველას უკლებლივ კიდევ და კიდევ იზიდავს საჭადრაკო პარტია, რომელსაც ისინი სულიერი თავგადასავლის სამყაროში გადაჰყავს. ჭადრაკის თამაშის ამ თვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რაიმე მძიმე სენმა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სპორტს ჩამოაცილა.

(„შახმატნაია მოსკვა", № 14 (280)).

„ა" კლასი
I ჯგუფი

უმაღლეს ლიგაში

15 სექტემბერს მოსკოვში შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული შეხვედრა. გათამაშების ლიდერმა — მოსკოვის „სპარტაკმა" მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი.

„სპარტაკის" უპირატესობა აშკარა იყო: როსტოველთა კარში გატანილ იქნა 4 „მშრალი" ბურთი. 1 გოლის ავტორი იყო ლოგოფეტი, სამისა — ჰუსაინოვი. გარდა იმისა, რომ სპარტაკელთა კაპიტანმა გ. ჰუსაინოვმა ამ მატჩში შეასრულა „ჰეტ-თრიკი", შევიდა გ. ფედოტოვის სახელობის კლუბში. იგი აერთიანებს ფეხბურთელებს, რომლებმაც სსრ კავშირის ჩემპიონატებში გაიტანეს 100 და მეტი გოლი, სპარტაკელთა კაპიტნის ანგარიშზე ამჟამად 101 ბურთია.

● ●

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი
II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

რვა მატჩი

14 სექტემბერს გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის IV ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მოგვყავს მათი შედეგები:

„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 4:0, „სპარტაკი" (ბრესტი) — „ნემანი" (გროდნო) 2:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (კიროვაბადი) 3:2, „ფოლადი" (სუმგაითი)—„მეშახტე" (ტყიბული) 1:0, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „მეტალურგი" (ჩიმკენტი) 2:0, „პოლიტოტდელი" (ტაშკენტის ოლქი) — „ვოსტოკი" (უსტ-კამენოგორსკი) 2:1, „ნეფტიანიკი" (ფერგანა) — „ენერგეტიკი" (დუშანბე) 0:3, „სტროიტელი" (აშხაბადი)—„ზერავშანი" (ნავოი) 4:1.

სათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	33	19	7	7	40—16	45
„შახტიორი" (ყარაგანდა)	34	17	9	8	43—20	43
„ლოკომოტივი" (თბილისი)	33	17	8	8	39—24	42
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	34	13	11	10	34—22	37
„ენერგეტიკი" (დუშანბე)	31	11	14	6	32—24	36
„დინამო" (ბათუმი)	33	12	12	9	33—28	36
„სტროიტელი" (აშხაბადი)	32	13	9	10	40—28	35
„ალგა" (ფრუნზე)	33	11	13	9	19—17	35
„დაუგავა" (რიგა)	33	8	18	7	32—27	34
„პოლიტოტდელი" (ტაშკ. ოლქი)	33	10	13	10	27—30	33
„ნემანი" (გროდნო)	34	6	20	8	24—24	32
„ნეფტიანიკი" (ფერგანა)	33	12	8	13	29—42	32
„სპარტაკი" (ბრესტი)	33	10	10	13	25—24	30
„დინამო" (კიროვაბადი)	33	9	12	12	27—36	30
„შირაკი" (ლენინაკანი)	33	10	10	13	31—48	30
„ვოსტოკი" (უსტ-კამენოგორსკი)	33	9	11	13	30—32	29
„ზერავშანი" (ნავოი)	33	11	7	15	29—40	29
„მეშახტე" (ტყიბული)	33	11	6	16	25—35	28
„მეტალურგი" (ჩიმკენტი)	33	9	9	15	27—35	27
„ფოლადი" (სუმგაითი)	33	6	15	12	26—34	27
„პამირი" (ლენინაბადი)	32	7	8	17	24—50	22

32 პრეტენდენტი მზადაა საბრძოლველად

დღეს, მეთხუთმეტედ მიეცემა სტარტი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა საფეხბურთო ტურნირს. ფრანგულ გაზეთ „ეკიპის" მიერ დაწესებულმა ამ ტურნირმა ფართო პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. საკმარისია ითქვას, რომ ევროპელთა მაგალითით ასეთივე თასის („ლიბერტადორესი") გათამაშებას შეუდგნენ სამხრეთ ამერიკის კლუბებიც და ორივე ამ ტურნირის ლოგიკური შედეგია ე. წ. საკონტინენტთაშორისო თასი. უნდა ითქვას, რომ ამ მთავარი პრიზის გათამაშებაში ევროპელები ჩამორჩნენ. დაწყებული 1960 წლიდან ხაკონტინენტთაშორისო თასს ფლობდნენ: 2-2-ჯერ ურუგვაის „პენიაროლი", ბრაზილიის „სანტოსი" და იტალიის „ინტერნაციონალე", თითოჯერ — ესპანეთის „რეალი", არგენტინის „რესინგი" და „ესტუდიანტესი", ე. ი. უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ სამხრეთ ამერიკის კლუბების უპირატესობაზე ევროპელებთან შედარებით. თუმცა, ამ უპირატესობას წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს და ძნელად, რომ გამოდგეს ლათინური ამერიკის ფეხბურთელთა უფრო მაღალი კლასის არგუმენტად.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მატჩებში 17 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდება 16 წყვილი, მაგრამ შეჯიბრება ფაქტიურად უფრო ადრე დაიწყო. საქმე ისაა, რომ განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობაზე შეიტანა ქვეყნების სარეკორდო რაოდენობამ (33) და პირველი წრის 16 წყვილის განსაზღვრისთვის საჭირო შეიქნა 2 შესარჩევი შეხვედრის ჩატარება. ეს ხვედრი წილად ხვდათ ფინეთის „პალოსეურატურკუს" და დანიის „კ. ბ."-ს კოპენჰაგენიდან. დანიელებმა იოლად გაიმარჯვეს ორივე შეხვედრაში.

სულ ახლახანს ყოველკვირეულმა გამოშვება „სპორტ-ექომ" გამოაქვეყნა თასის ადრინდელი 14 გათამაშების ნაერთი საკლასიფიკაციო ცხრილი. მასში შეტანილია მხოლოდ ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სულ ცოტა ორჯერ მაინც. ცხრილში მოყვანილია მონაცემები, თუ რამდენჯერ მონაწილეობდა ესა თუ ის გუნდი ტურნირებში, რამდენი მატჩი ჩაატარა, რამდენი მოიგო, რამდენი წააგო და რამდენი ფრედ თაამთავრა, აგრეთვე, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა და, ბოლოს, — ქულათა ჯამი.

ყველა ამ მონაცემის მიხედვით პირველი ადგილი მიეკუთვნა მადრიდის „რეალს". იგი ერთადერთია, რომელმაც ყველა ტურნირში მიიღო მონაწილეობა. თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ დაგროვილ ქულათა რაოდენობას, მომდევნო ადგილებზე არიან ლისაბონის „ბენფიკა", ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი", იტალიის „მილანი" და „ინტერნაციონალე". მაგრამ ქულები არ გამოდგება ზუსტ კრიტერიუმად, ვინაიდან „სელტიკი" (გლაზგო), მაგალითად, ცხრილში შორეულ მე-18 ადგილზეა გადაწეული, მაშინ, როცა ბელგიის „ანდერლეხტი" მე-9 ადგილზეა, მას კი არც ერთხელ არ უთამაშია ფინალში.

„სელტიკის" გარდა თასის მფლობელები იყვნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" (1968), ორჯერ — „ბენფიკა" (1961 და 1962), ამდენჯერვე — „მილანი" (1963 და 1969) და „ინტერნაციონალე" (1964 და 1965). რეკორდი ეკუთვნის „რეალს", რომელმაც გაიმარჯვა 1955-1959 წლების ყველა ფინალებში და 1966 წელსაც.

ამრიგად, დიდი ხნის მანძილზე უპირატესობა ჰქონდათ იტალიის, ესპანეთისა და პორტუგალიის კლუბებს. მაგრამ ეს არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ ამ ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო სკოლების განსაკუთრებულ მიღწევებს. რასაკვირველია, იტალიური ფეხბურთის კლასი, მაგალითად, ძალიან მაღალია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ იტალია დიდი მასშტაბით აწარმოებდა უცხოელი „ვარსკვლავების" იმპორტს, ახლა უცხოელთა რაოდენობა თითოეულ თამაშში ლიმიტირებულია 2 მოთამაშით, მაგრამ ეს ლიმიტი ძალაში არაა, როცა გუნდები გამოდიან ევროპული თასის გათამაშებაში. ამას გარდა, სამხრეთ ევროპის კლუბებს ჰქონდათ სხვა უპირატესობაც. ჩემპიონთა თასის გათამაშების ვადები კარგად ეხამება ამ ქვეყნების საფეხბურთო კალენდარს. ახლა ეს შანსები ერთგვარად გათანაბრდა იმის წყალობით, რომ ფეხბურთს სხვა ქვეყნებშიც თითქმის სრული წლის მანძილზე თამაშობენ.

რა თავისებურებებით ხასიათდება თასის ახლანდელი, მე-15 გათამაშება?

უპირველეს ყოვლისა, დადგინდა მტკიცე, ერთიანი კალენდარი. პირველი წრის, ე. ი. მეთექვსმეტედფინალის მატჩები ტარდება 17 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. 12-26 ნოემბერს გაიმართება მერვედფინალის მატჩები. ნახევარფინალების თარიღები ჯერ არაა განსაზღვრული, ვინაიდან ორგანიზატორებს მხედველობაში აქვთ მისაღები სხვადასხვა ქვეყნის კლიმატური პირობები. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ფინალური მატჩი შედგება 6 მაისს.

„ორმაგი ტარიფის" წესი (მოწინააღმდეგის მინდორზე გატანილი გოლი ორმაგად ითვლება) ადრე ძალაში იყო მხოლოდ გათამაშების პირველ ეტაპებზე, ახლა კი ვრცელდება ნახევარფინალებზეც. კეთდება ეს შედეგიანობის გაზრდისთვის, ვინაიდან საყოველთაოდ მოიკიდა ფეხი ტაქტიკამ: ფრე, ან მინიმალური ანგარიშით წაგება სტუმრად და გამარჯვება შინ. წლევანდელი ტურნირის შედეგებით ევროპის ასოციაციათა კავშირი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მიზანშეწონილია თუ არა შემდგომშიც იქნას გამოყენებული „ორმაგი ტარიფი".

სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო" კენჭისყრით პირველ ტურში ხვდება ავსტრიის ჩემპიონს — „აუსტრიას", ერთობ ავტორიტეტულ და ძლიერ მეტოქეს. ეხებიან რა ცალკეული კლუბების შანსებს, უცხოელი მიმომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ ტურნირის ორ ახალ წევრს: გფრ-ის „ბაიერნს" და ინგლისის „ლიდს იუნაიტედს". პირველი გუნდის შემადგენლობაში თამაშობენ ცნობილი ფ. ბეკენბაუერი და კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი ჰ. მიულერი. დასავლეთ გერმანიის ახალი ჩემპიონი „ბაიერნი" გამოირჩევა თამაშის მწვავე, შემტევი სტილით. „ლიდსმა" სახელი გაითქვა იმით, რომ ეროვნულ ჩემპიონატში დაგროვილი ქულებით (67 ქულა 42 თამაშში) იგი ინგლისის რეკორდსმენი გახდა. ძველი რეკორდი დამყარებული ჰქონდა „არსენალს" 1931 წელს და გამეორებული 30 წლის შემდეგ — „ტოტენჰემს". ინგლისის ახალი ჩემპიონი „ლიდსი" მიაჩნიათ გუნდად; რომელშიც არ არიან „ვარსკვლავები", თუმცა იქ მცველის პოსტზე გამოდის ჯეკ ჩარლტონი, განთქმული ფორვარდის — ბობი ჩარლტონის ძმა. გუნდი თამაშობს ორიგინალური სქემით 1—1—4—4—1. ეს თითქოს უნდა ნიშნავდეს, რომ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით „ლიდსი" თამაშობს 9 კაცის შემადგენლობით თავდასხმაში ან დაცვაში. ინგლისელებს მოწინააღმდეგე საკმაოზე უფრო იოლი შეხვდათ — ნორვეგიის „ლიუნი".

ამრიგად, დღეს სტარტია: კლუბები იწყებენ ბრძოლას ევროპული თასისთვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიევის დინამოელები, რომლებიც უეფა-ს დისკრიმინაციული მოქმედების გამო შარშან იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე, წლეულს შეძლებენ ღირსეულად გამოიჩინონ თავი.

ი. ბარუ.

გაზეთ „პრავდის" ფოტოკონკურსი. „საჯარიმო დარტყმა".

ფოტო ი. მიხაიკისა (რუმინეთი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

18 სექტემბერს საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს 11 პლენუმი.

დასაწყისი 11 საათზე.

„ლოკომოტივის"
სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის
პირველობა
ფეხბურთში

●

18 სექტემბერი

„ა" კლასი
II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

„ლოკომოტივი" (თბილისი)—„შირაკი" (ლენინაკანი).
დასაწყისი 19 ს.

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნ. ძიაპშიპას მამის

ალექსანდრე ძიაპშიპას

გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03425